



№ 5

## ერველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

№ 5

ზღიური ხელის მომზადე:

პირველ პრემიათ მიეცებათ: სტეპნიაკის მოთხ. „სახლიტერატურო ვოლგის ნაკირზე“.

მეორე პრემიათ: რეტელის ხალი ოთხ-მოქმედებიანი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაურგდებათ იებერვლის დამლევს. მეორე აგვისტოს პირველ რიცხვში. ვინც იანვრის გასვლამდე სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორივე წიგნს მიიღებს.

შიდაარსი: 3. რუსაძე—ლექ. „გარდ ყვავილები“. ლალიონი—მოთხ. „ბეჭუკას ხეელი“. იასამანი—ლექ. „სატრ-ფოს დენინისა“. ი. გოგიართელი—სალიტერატურო მიმოხილვა. ზომლეთელი—ლექ. „ნაკადის ჩივილი“. გ. შალა-შიდაშილი—მოთხ. „სამოთხეში“. შვარცი—„ცოტა რამ ხელოვნებაზე“. ბ. გვლა. ლექ. „ჩემო ყვავილონ“. ა. ლომთა-თიბი—მოთხ. „სახრჩობელასკენ“ (ლ. ანდრეევისა) —ი. „რუსულ ახალ მწერლობის ისტორია (კოგანისა)

## ვარდ-ყვავილები.

ზღვის პირათ გაშლილ ლამაზ წალკოტში  
ტურფად ყვავოდენ ნაზი ყვავილნი:  
ვარდი, ნარგიზი, ია, ზამბაზი....  
თვალის წარმტაცათ უცხოთ გაშლ-ლნი.  
თუმც ხშირი გვალვა, ხშირი ზამთარი  
და ჭია-ლუა, ფესვების მღრღნელნი,  
მათ უწამლავდენ სიკოცხლის დღეთა  
და გულს უწყლავდენ სევდები მწველნი,—  
მაგრამ იტანდენ ყოველ გასაჭირს,  
არსებობისთვის იბრძოდენ მედგრათ  
და ხმა-შეწყობით უცხო რამ ჰანგზე  
ერთობის ჰიმნსა მღრღნდენ ერთად.

გავიდა ხანი. ცა მოიქუშა....  
გრიგალმა შედგრათ დაიგრიალა

და წალკოტს ეცა გამხეცებული,  
მილეწ-მოლეწა, გატიალა.  
თან წარიტაცა ვარდ-ყვავილებიც,  
ზღვას ჩააბარა აღელვებულსა...  
და საცოდავათ დატივტივობენ,  
მოშორებულნი სამშობლოს გულსა!

როდესაც კიდე-ნაპირებისკენ  
მოისწრაფიან ტალღა-ზეირთები,  
სიხარულისგან მთლათ ცახცახებენ  
შიგ მოტივტივე ვარდ-ყვავილები;  
რადგან გონიათ—კვლავ ნიადაგზე  
ფეხს მოიდგამენ, აყვავდებიან  
და ჩვეულებრივ ტურფათ, ლამაზათ  
და მომხიბლავათ გადიშლებიან.  
მაგრამ იმედი რა უცრუვდებათ,  
უორკეცდებათ სევდა-ნაღველი...

ზოგნი კვლავ მედგრათ ებრძვიან ტალღებს,  
ზოგთ უწყალოთ ნოქას უფსკრული ბნელი!

ჰოი, ყვავილნო, ულვთოდ ტანჯულნო,  
არ გაიტეხოთ სამუდმოთ გულნი,  
მით ინუგეშეთ, რომ ოქვენს ძირებზე,  
თქვენებრ ლამაზნი, ტურფათ შემკულნი,  
კვლავ იზრდებიან, იფურჩქნებიან  
სურნელოვანნი ვარდ-ყვავილები  
და ობლათ შთენოლ სამშობლო წალკოტს  
მკერდზე ესხმიან, როგორც ლილები!

ვ. რუხაძე.

## პეტრას ხვერდი

(დასარული. იხ. „სხ.“ № 2).

თავ ჩიქინდრული ბეჭუკა გაქავეულივით იდგა ურე-  
მთან.

— გამარჯობა შენი! უცებ შემოესმა მას. ბეჭუკა  
გამოერგა: და მიახედა. გზა-ტეციალზე ცარაული ურე-  
მი მოდიოდა, რომელზედც შეა ხნის კაცი იჭდა.

— სადა, ძმა, გამარჯობა... ნაფლობასთ ჩაიდა-  
შაკაკა ბეჭუკა: გამარჯობა კი არა თლა ვიღუბები... და-  
უმრავა აკანგალ ბეჭუკის ხმით და უამბა გაეკარგებულ მე-  
ურმეს თავისი გაჭირვება.

— რაფურ დაგემართა შაი!... თანაგრძნობით უთ-  
ხრა მოსეჭდა.

— ასე შემერა რაცხა ეშმაკმა... ნეტაი კისერი  
მომტრებდა და აქანი არ გაგზერებულიყავით... მაინც არ  
მეგონა იმ შეჩვენებულის თუ იყო.. მაგის ღიალი  
საცხა ზერთ მახსოვდა... ჭავრი სჭარდა და დროი მიშ-  
ონა... გაჭირებ მ წმიდიუგანა ამ დასაქცევში... მისი  
მეზობელი შექამა მარ ლეთის შარიდნილმა  
და მე რაცა დამზოგავდა... რაცხა ცოდნათ საქონელი  
დამირჩა წამ ღიალი... რა უკი ადარ ვიცი ახლა...  
რადგან იქათ მიხევდა, მიქერთ სიგეთე, ჩაიტანე წერპაძის  
დუქანში, მთსახევში რომ ვაჭრობს... ისე მადლობელი  
ვაჭები, განდამც შენ გენუქებითს იგი ხარბი... შეე-  
შეწა ბეჭუკა.

— პაწა ქ მეზარება, დადალული ხარბი მეტას...  
შეეფეხინდა მეურმე, მაგრა შემდეგ დათანხმდა.

— ქირას საქმე რაფურ იქნება?... იყოთხა შან,  
როდესაც საქონელა თავის ურებზე დააღავა.

— მოგცემს რაფაც ჩაძარება?... რა აპაზათ ვარ გა-  
რაგებული; დმერთხა მოგახმაროს... მე უსიკვდილოთ  
არ შემიძლია მოშორება...

— პაწა მარჯვეთ დახთი; ნუ დააბრიუგებიებ თავს..  
„გმხნება მეურმე და გზას გაუდგა.

ნაფლობასთ გაულია თვალი მიმდებს ბეჭუკა;  
მას სეჭდა მოქმედა; თოთქო რადაც მოსწერდა მის გულს  
ამ გაცის წასკლით...

გზე ძალზე გადისარა; დედა მიწას ჩრდილი მოე-  
ფინა. გამწარებული ბეჭუკა ანთებულის თვალებით მის-  
ჩერებია იმ გზას, საითაც მასი ხარები გარეგნს; ჭო-  
ჭოხეთური ცეცხლი ტრიალებს მის გულში. ვინ იცის,  
იქნება მართვა წართვას მას ხარები... ძალა მეტა-  
ხერხებს... სად უნდა წავიდეს ბეჭუკა, ვის მიმართოს?  
მან კარგათ იცის, თამ ჩივილი აქ ვერას გასდება...  
გინ მოუსმენს მას? მათრახით ან თოთის კონდახით  
გასცემენ შასუსს... ბეჭუკა სასოწარევეთიდებაშია. ეს გუ-  
თხე, სადაც მან თრიოდე საათის წინეთ ასეთი ტებილი  
წუთები გამოსცადა, დაწეველი მხარეთ გადაიქცა ასლა  
მის თვალში... თითქო უკელიურმა სახე შეიცვალა. მის  
გაშემო: ამწვანეული შინდორი, გაბარჯლელი ხელი  
შინქუშათ გამოიყენებოდენ ასლა, თითქო ისინიც იამ-  
ტოდ ამსედესულიუკან ბეჭუკას წინააღმდეგ. თვათ ცაც  
კი, ის თვალწირტკიც ლურჯი ცა, რომელიც წელან ისე  
ნაზათ, თითქო განსაკუთრებულის თანაგრძნობით უღა-  
მიდა შრომისაგან დასებულ ბეჭუკას და სანეტარო ფიქ-  
რებს უშლიდა მას ბედნიერ მომაგლზე, ასლა სრულ-  
და გულ-გრილ უურებდა მის უბედურებას... ბეჭუკას  
გული აუწევდა; ისე გრძნობს თავს, თითქო იყო მარ-  
ტოდ-მარტო გადაერგული იყოს სადღაც შორის, ძრიელ  
შორის, სრულიად უცხო, შევ ბეჭდ მხარეში, სადაც უსა-  
ზღვრო გერაგობა' და სიძოროტეს დაუბუღდები... შეე-  
ლა არსადან არის... რადა უხარით ბეჭუკა? განა ლო-  
მა და ნიშა მარტო მუშა საქონელია მისთვის და მეტი  
არაფერი?... თუ დღეში ბეჭუკა ლაჭურობულიც ისე გ-  
ნებოდა საღმე, ეს ხომ მისი კარგი ხარგის წყალით  
იყო... არა! ხარებთან ერთათ მას სახელიც მოსტრებს!..

ბრაზ მორეულ ბეჭუკას ადშოთოება ემატება...  
„რეზა უნდა მეისხს ჩემდა უღლიურები“... გამორო-  
ტებით გაითიქა მან; „რა დავაშვი, რაი?“ ბეჭ-სა-  
ჭადალ ამთიგმანა ჩაგრულმა; იგი გასრისეს, მიწასთან  
გასწორეს, მოუ ჰეს ერთ-თერთი ნებება, იმედი...  
მას არ შეუძლია თვისს ჭალას ბასეხი შისთხვეთს,  
დამაუფლებელი მიიღის... ნუ თუ მან თავისუფლათ  
ვეღარ უნდა ამთისენთქმის სიცოცხლეში? რათა რისთვის?  
ეს კითხვა ასლა მოელი სიგმე-სიგანით იდგა მის წინა-  
შე და გადაჭრილ პასუხის თხოვდება... რა მოუვიდა მას  
დღეს?... და განა მარტო დღეს? როდის არ იყო იგი  
დარბეული, შეურაცხოფილი, დამცირებული? .. ბეჭუკას  
ცხოველად წარმოუდგა ასლა მოელი მისი გამწარებული  
ცხოველება, ტანხგით და ვაებით განვლილი დღენი...  
უსიტევოთ, მო მინებით ეწეოდა იგი მუდამ შრომის  
მძიმე უღელს, ადამიანურ სიამოზნებას და სიხარულს

მთკლებული... პატარა დიდი ნეე შესწევებდა ამ უფოს, თათქმის შენიგებდა იმ აზრს, რომ მას და მისთანებს არც კი შეუძის უკეთესი ცხოვრება; სჯეროდა, რომ უფლას არ შეუძლია იმის მთხოვნა, რაც მხრილდ ზოგიერთების ხველის შეადგენსთ... „რას იზამ, მმავრერთს ასე ღაუშესებია... ღეიხედე აბა ხელზე, უკელი იათი ერთნაირა თუა: ზოგი გმელია, ზოგი მთკლე,“ რა ერთხელ უთქამს ბეჟუკის შეზაბლებთან ბასის ღრცეს, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდებოდა მშრომელი სალსის მდგომარეობაზე. მხრილდ სულ ბოლო ღრცეს, როდესაც სულს შემხეთავ პირბების წეალთბით ცხოვრება მეტის მეტად გაჭირდა, ბეჟუკის ცოტათდენი გამოიხატზება და ეტერ, თუმცა საკმად მაინც ვერ გამორკეული იყო; მეტად ურუ და ბრძა იუ იგი, სხის სხისგან ერთდა და ხან და ხან თავდავიწებასაც ეძლეოდა... ახლა კი მორს მისგან ასეთი იმედები, თავის მოტეულება!... ღღეს იგრძნო მან მთკლის სიმწვავით თავისი მდგომარეობის საშინეულება... ახლა კი ხელვს ნათლათ, რომ იგი მართდა სხვისდა სათელათ გამხდარ, რომ მისი ბედი, თვით სიცოცხლეც კი, გილაცების ნება სურვილზე უოფილა და მოგიძლებულა... ბეჟუკას ბრაზი არჩების. გინ რაის დამნაშეე მის წინაშე, გინ უნდა მოსთხოვს ჰასუხი? ცხადია მარტო მუტგურავების არ ეკუთ წილი მის გაუბედურებაში და ბეჟუკა უკელა ამათ შეუძება ახლა, უსაზღვრო რისხეას უთვლის იმ სისამფილეს, რომელმაც შესმით გაუსრ მისი ცხოვრება.. სუჟექს გულშა ერთხაშათ გაიზარდა რაღაც თავშეუკავედა ძალა, იფრთხა ძლიერმა გრძნობამ.. ახლა იგი შეთ არის შერი იძიოს, შეერთლოს თუნდ თვით ფართხეთს...“

დაღმძა. ცაზე წენარად ამოცურდა მთვარე და თავისი მშენიდა, გულის დამატებიბებით სხივები ცოდვილ ჭირისას მოჭიინა. ბერუსში განვეულ დედა-მიწას უცებ საცნებო ელევრი მიეცა. მნათბის შექმა ბეჟუკას გამოძინებულ სახესაც მიუსდესა, თითქ მის აღმშევებულ გულის დამშენდებას შეეცადა, მაგრამ ამაღდ: მეტად მოს იყო წასული ბეჟუკა შევ-ბნელ ფიქრებში. უცებ იყო შეერთა და სახეზე შიში და სასორისგვეთი იუს გამოქარება. „რა მთუგა ჩემ ხარებს ამეღამ!“ გაუელვა თეზარდაცემულს და სახე საცდავათ მოედრიცა. გინ იყის, რა განზრახეა აქეს გულქვა ძეგმურაძეს?... გინ იყის... დმერთო!.. ეგება სწორედ ამ წეთში დასაქლა-ფრ მიუვთ მისი ფორმა და ნიშა... იქნება ახლა თქრია-ლო გადმისდით სისხლი გამოდადრულ კისრიდნ; ან იქნება შემშე გათავდა უკელაზერი და გამსეცებულ ადამიანი-თა ხროვა მისი ხარების ბეჟებს კადგრ შეემცევა?... ამ შემაძლებელმა ფიქრმა მთლად გადარია მეტად შეუკა, სისხ-ლი მოუწიმდა. მეტის მოთმენა მის აღარ შეეძლო.... გურკეულის მიზნით გაქანდა იგი და მალე ნაცნობ

შეკრის-დღბესთან დაიხადა. ირგვლივ სიჩემე შეფაბდა. ბეჟუკა ჩაციებათ მახსერდა სალის ბაქებს; იგი კარგათ ვერ არჩევდა, რაც საჭარო იყა მისთვის; მთვარე ახლა უფრო მკრთალად აშუქებდა მიდამის, რადგან ცაზე სია-დგანდაც ღრუბელი მოგრძელი იყო. ბოლოს გამოარკვია უკელაზერი; სარები ისევ იქ იყო მაბელი; ცოტა მა-შორებათ, ბეღლას წინ რაღაც შეხვეული მთხისნდა; ერუობდა, აქ გილაცას ეძინა.

უცებ სარის ნელი ზუგილი მოისმა; შეწუხებულმა პირუტევმა თითქ იგრძნო სატრონის სიახლოევი...

მეტიც აღარ უნდოდა ბეჟუკას; იგი აენთო და გა-ცოფებით ეძებერა ზედუდეს; იმ აღაგას, სადაც ღდებე შებ-ჭენილი იყო მსხვილ ხეზე, მან შესძლო სარის წაჭუება და ღრბეც საკმაოდ დასწია. ბეჟუკა წამსვე მიიჭრა ნა-ფაიასთან. მას აღარაუკი ახსოდა, შიში, განსაცდელი არ არსებობდა მისთვის; იმ წეთში; მხრილდ ერთი აზრით, ერთი სურვილით იყო იგი შეპურობილი...

ეღვის სისწავით გასჭრა მან თოვი, გაანთავი-სუგვა საკები და წინ გაირება. ამ ღრცეს სახლის უკა-ნა მხრიდან გამოვარდა ორი ძაღლი და უკეთით გამოუღ-ბი ბეჟუკას. ეზოში სმაურობა ატედა. „რა ამბავია, ბი-ჭო, ანდრიავ?“ გაღმოსას ვიღამაც სახლიდან. შემშე ფეხზე იდგა შეშინებული მოჯამაგირე; „გერ წავა, არ გაუშვა, არიქა!“ უკირდა იგი და უგზო-უგზოლდ გარ-ბოდა ძაღლის უკიდურეს. იმ წამსვე ღდილან თრი კაცი გამოხვარდა და უშეერის ლანდღებ-გინებით სერისენ გაიძ-ცა. ამ ღრცეს ბეჟუკა და უზოგრგელი მიარგენინებდა სარების შელტის ტელაშენით. იგი კარგა მოშორებით იყო ახლა; აგერ ღელეს მიუხსლოვდა კადეც, საცაა ჭალაშიც ამო-უოფს თავს და მერე... უცებ თოფის გრიალშა შეარება უმიმრავ პარი. ღომამ ჩახტება; მას თემჭიში მიხედა ტევია და ძვალი გაუტეხა. შესაზარ გმინვა აღმოხდა გულიდან გამწარებულ ბეჟუკას; იგი ვეფხვივით შემო-ტრიალდა, დაწერილს წიგშატტინა... მაგრამ ისევ იტექა თოფმა და ახლა პატრონი დაეცა საუგარელ ხარის გზერდით...

მთვარეშ გვლავ გააშექა მიდამი, ღასედა ბეჟუკას გა-სისხლიანებულ გვამს და, თითო შეძრწუნდა აღამიანის უსაზღვრო ბოროტებითო, მთილუშა, ისევ ღრუბელს ამოეფთარა.

**ლალიონი.**

## სატრონის დევნილსა.

სიკვდილის წინეთ ბოლგაში გავურევ შენსა სახელსა და ოდნავ მაინც მივახვდენ ჩემი ღაუარგვის მნახველსა,

რომ დღეთა ჩემთა დასასრულს  
შენ მანათებდი, ამკობდი,  
შენ დაეუფლე ჩემ ფიქრთა—  
და ოლირავის ანდობდი!  
იმედი იყავ მომავლის,  
სხვებისგან დაჩაგრულისა,  
გახარობელი მერცხალი  
ცხოვრების გაზაფხულისა!  
შენს ალერს უკვე ვაკლები,  
ვერ გადაისცომ შუბლზე ხელს  
და ჩუმაკ, ლოცვის სიტყვებით,  
ვერა წარმოვსთქვამ შენს სახელს!...  
სიტყვას ვერ ვატყვი პირდაპირს,  
ვერ ავარულებ წალილსა,  
ვერ გავშლი შენს საალერსოს,  
წითლათ ნაქსოვსა მანდილისა!  
მშვიდობით! ნუ მიეცემი,  
ძვირფასო, შავსა, დარდებსა...  
ნულარ დააჭერობ უდროვოთ  
სულცხლის ტურფა ვარდებსა.  
დე, გაზაფხულზე ნაშობი  
იგი ხანგრძლივათ ჰყვავოდეს  
და სურნელებით დამთვრალი  
მტერი თავს ჩამოგჩხოდეს,  
თან ტრფიალებას ელოდეს  
ჩემი სიცოცხლის სხივისას,  
მკერდს ჩაგერინოს უდრეკა,  
თვალთ ჩამოგცერდეს გიშრისა!—  
გადაუხადე მოსისხლეს,  
ძევლ მესაფლავეს ჩვეულსა,  
ნუ გადაუხსნი ბროლის მკერდს,  
მც ტრფიალებათ რხეულისა...  
ვკვდებოდე... იგრძნოს თუ ვისთვის...  
ალარ დაუთმო, ალარა...—  
ვაჲ, რომ უდროვოდ ჩამიგდო  
და უღვითოვ დამასამარა!

იასამანი.

## სალიცერატურო მიმოხილვა.

V

მეცხრამეტე საუკუნემდე მეცნიერებას სწამდა,  
რომ ბუნებაში ყოველისფერი უცვლელი იყო და  
ყოველივე არსი—სულიერი და უსულო—დასაბამი-  
დგან ქვეყნისა ერთი და იმავე სახით არსებობდა.

წარსული საუკუნის ერთ უმთავრეს ღვაწლის  
ამ აზრის დარღვევა შეადგენს. ბუნებას შესწავლის

გზით შთელ განვლილ საუკუნოებს არ მიუცია და-  
მიანისათვის იმდენი, რაზდენ-ც ერთგა— მეცხრამე-  
ტე საუკუნებ მც ც წარსულმა დააგროვა მრა-  
ვალი დაკვირვება, გამოცდილება, მაგალითები  
ფაქტები, მეცხრამეტე საუკუნებ კი წარსულის ნა-  
ნდერებები გაარჩია, შეისწავლა, ახსნა და დაინახა,  
რომ ძველი მეცნიერებას შეხედულება— ყოველის-  
ფერი დედამიწაზე უცვლელია, ყოველგვარ სა-  
ფუძველს მოკლებული იყო. მეცხრამეტე საუკუ-  
ნებ დაამტკიცა, რომ განვითარება ანუ ევოლუცია  
არის მოფლიო, საზოგადო, უნივერსალური  
მოვლენა და მას ემორჩილება ყოველისფერი— მზის  
სისტემა, უუშორესი ვარსკვლავები და ყოველის-  
ფერი, რაც კი ჩეენს დედამიწაზე არსებობს და  
ჩნდება.

დედამიწის სახე შეუჩერებლათ, ნელანელა  
და შეუმჩნევლათ იცვლება. ეს ცვლილება მხო-  
ლოთ ათი-ათასი და ასი-ათასი წლების მანძილზე  
ხდება მხოლოთ შესამჩნევი და ცხადი.

ყოველისფერი, რაც დღეს არსებობს, უძვე-  
ლეს დროს ამ სახეს არ ატარებდა. მეცნიერებამ  
დაამტკიცა, რომ უძველეს დროს ცხოველების  
სხანაირი იყო, მცენარენიც.

ადამიანი მთელი თავის გარეგნობით და გო-  
ნებით ნაყოფია თანდათანი განვითარებისა.

დაბალ საფეხურზე, რამდენიმე მილიონი  
წლის წინეთ ის იყო პირუტყვი, შეუჩერებელმა  
განვითარებამ ის გადააჭირი გონიერ არსებათ. გა-  
ვლის ასი-ათასი წლები, და ადამიანი იმდენათვე  
გაუსწრებს დღვევანდელ თავის სახეს რამდენათაც  
ჩვენ გავუსწარით ჩეენს უძველეს პირუტყვ წინა-  
პრებს.

თუმცა ადამიანი თანდათანი განვითარების წყა-  
ლობით გონიერ არსებათ გადაიჭირა, მაგრამ პირუტ-  
ყვი, მხეცი მასში ჯერ სრულიად არ გამქარა,  
მხეცური თვისებანი, მხეცური მიღრეკილებანი ჯერ  
კიდევ საკმაოთ გამჯდარი აქვს მას.

როდესაც ერთი ადამიანი მეორესა ჰქონდება  
მიუხედავათ იმას რა მიზანიც უნდა ჰქონდეს ამ  
მკვლელობას ან რა მიზეზი, ეს აქტი ნაყოფი  
მხოლოთ იმ მხეცისა, რომელიც ადამიანში იმყო-  
ფება.

როდესაც ადამიანებს სიკვდილით სჯიან, ამ  
გვარი მოქმედება ნაყოფია იმ მხეცისა, რომელი  
ადამიანში არსებობს.

როდესაც ადამიანები ადამიანს ალრჩობენ, ამ  
გვარი მოქმედება ნაყოფია იმ მხეცისა, რომელი  
ადამიანში არსებობს.

აიღეთ გრძნობა კერძოობისა, კერძო საკუ-

რების სიყვარული, გრძნობა იჭვიანობისა,—ყოველივე ეს მხოლოდ მხეცური გრძნობაა და ეკუთხნის ადამიანს კი არა, არამედ იმ მხეცს, რომელიც ადამიანში იმყოფება.

ამ მხეცს დამარცხება და ადამიანის განთავისულება, ადამიანობის სრული გამარჯვება — აი საითქნენ მისწრაფის ცხოვრების განვითარება.

ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებაც. ხელოვნების საგანი მშვენიერებაა მისი მრავალ-გვარობით. მშვენიერების განსახოვნებით ხელოვნება თვითი იერებს, ნელა ნელა ჰკლავს ადამიანში მხეცს და ამაღლებს, აკეთილშობალებს, აფაქიზებს, ადამიანს.

მშვენიერების მოთხოვნილება თან დასდევს საცოცხლეს და ის აჩსებობს, ყველგან, საცა კი სიცოცხლე ღვივა. მოთხოვნილება მშვენიერებისა: აქვს შუარებს, ფრინველებს, თევზებს, მწერებს, პრაუტყვებს, ადამიანებს.

გველსა ხვრელით გამოიყვანს  
ენა ტებილათ მოუბარი.

მშვენიერების მოთხოვნილება, მშვენიერებისადმი მისწრაფება, მშვენიერების სიყვარული სავდებია იმისი, რომ ადამიანის განვითარებას ვერაფერი ვერ შეაჩერებს სამუდამოთ და რამდენიც უნდა ეცალონ ცხოვრების ბნელი ძალები, რამდენიც უნდა მოწამლონ, მოშეამონ მათ ცხოვრება, ბოლოს მაინც მშვენიერება გამეცდება ქვეყნათ და მხეცი მის წინაშე ქედს მოიხრის. საერთო ბედნიერება საერთო თანასწორობა, საერთო კეთ ლდლება, საერთო ძმობა, ყველა ეს სხვა-და-სხვა სახეა შევენიერებისა.

სიტყვა კაზმული მწერლობა, პოეზია ნაწილია შევენიერებისა და მშვენიერების ერთი დარგის განსხვნებით ის ხელს უწყობს ჰეშმარიტების სრულ გამარჯვებას, ის სპობს ადამიანში მხეცს და სრული ადამიანობის გამარჯვებას ნიადაგს უმზადებს.

კეთილ გრძნობათ, ა კეთილ მისწრაფებათა გალებება ადამიანში, ბოროტების დევნა, ბოროტების მსახურთა მხილება, სიკეთისათვის დაჩაგრულთა, დევნილთა და წამებულთადმი თანაგრძნობა და სიყვარული, მხაგვრელთა, მდევნელთა და მწამებელთადმი ზიზღა და სიძულვრლი, — აი მიზანი პოეზიისა.

პოეზია უნდა ემსახურებოდეს სამარადისო ჰეშმარიტებას, სამარადისო ჰეშმარიტება კი მშვენიერების განხორციელება. ში ჩდეომ რევაბს. რა არის მშვენიერების განხორციელება ცხოვრებაში? ბოროტების მოსპობა და მის ალაგას კეთილის დამყარება. უსამართლობის მოსპობა და მის ალაგას სა-

მართლიანობის დამყარება, უთანასწორობის მოსპობა და მის ალაგას სრული თანასწორობა, ბატონობის მოსპობა და მის ნაცვლათ სრული მმობა და ერთობა.

იქნება ყოველივე ეს ოცნებაა და აქეთკენ მიმართული მოქმედებაც მხოლოდ ცარიელი წყლის ნაყვა? ყოველ ადამიანში, რაც უნდა მხეცი იყოს ის, ადამიანობა მაინც ბეჭტაფს, ჯალათსაც კი ეწვევა ხოლმე ბოლოს სინიდისის მხილება; სინიდისის მხილება კი იგივე გალვიძებაა ადამიანობისა. სინიდისი სინათლისაკენ, ჰეშმარიტებისაკენ, მშვენიერებისაკენ ეზ-დება ყველას და ეს მისწრაფება მშვენიერებისაკენ თავდებია იმისი, რომ ბოლოსაც იქნება კეთილი ბოროტება სძლევს და ცხოვრებაში მშვენიერება გამეფდება.

ის პოეტი, რომელიც კეთილ გრძნობას, კეთილ მიწრაფებას აღვიძებს და ბოროტებას ყოველისფერში სდევნის, ამით ემსახულება დიდ საქმეს კაცობრიობის განთავისუფლებისას. ამ გვარ პოეტია რიცხვს ეკუთვნის დუტუ მეგრელი.

არბელიანის სამხატვრო ნიჭი არ მოუცია ჩემთვის განგებას, —  
ვერ ავსწერ მისებრ მესაქართველოს სიღიადეს და მშვენიერებას;  
არც მომგადვლია ბარათაშვილის ტიტანიური „სულის კვეთება“ —  
იმის ზღვა გულის საშინელს „კვნესას“ ჩემი „ცაგორები“ ვერ შეედრება;  
არც აკიყისებრ აზრის ჩამოსხმის და ლამაზად თქმის მავქს მე უნარი, —  
მისს „სუბუქ ფრთითა ალმაფრენ ლექსთან ჩემი ლექსია დასაწუნარი!  
მაგრამ რაგუყოთ განა ბნელაში უბრალო ჭრაქიც არ სწევს სანთლობას?  
განა იმისი ონავ მბეჭუტავი სინათლე არ სჯობს სულ არაობას?  
მეც იმას გვევარ და თუმც არა ვარ ზედგარდმო მაღლით უხვად ცხებული გარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე ნათელს წმინდა, წრფელ გრძნობით აღფროვნებული

ამგვარათ ახასიათებს თვითონ დუტუ მეგრელი თავის პოეზიას.

ამ პატარა ლექსში მთელი დუტუ მეგრელი გამოსახული, პოეტის ბუნება მთლით აშკარავდება ამ ლექსში.

პოეტი მკითხველის გულს იმორჩილებს თავისი თავმდაბლობით. თავმდაბლობა ისეთი დიდი ლირ-სება, რომელიც მსოფლიო ჰენიოსაც კი დაამშვენებს, ამპარტავნობა, მედიდურობა ისეთი დიდი ნაკლია, რომელიც მსოფლიო ჰენიოსაც კი ამცი-

რება. მოდის კორაციისი ან პუშკინი გვეუბნებია; ხელთ უქმნელი ძეგლი ავიგეთ ამ გვარი დაფასება თვისი თავისა ყურს ეხამუშება, გულს ცივათა ხვდება და შიგ უსიამოვნო გრძნობას იწვევს, თუმცა ამავე დროს ივივე გული გეუბნებათ, რომ ერთი და მეორეც თავის დაფასებაში მართალი არიან. ქართველი იღამიანის ბუნებას ტრაბახი, კვეთნა, ბაქიობა, თავის ქება არ შეგფერება, — თუნდა ათასჯერ მართალიც იყოს ეს ქება. ამ ბუნებამ ათქმევინა ქართველ ხალხს: თავის ქება კიტრათ ლირსო.

მით უფრო უსიამოვნო გრძნობას იწვევს, როდესაც ახალგაზრდა პოეტი, დაწერს თუ არა ორ ლექს, გვარწმუნებს, რომ ის მზათ არის, კა და დედამიწა გადაატრიალოს, თავის გრძნობათა ზღვაში მსოფლიო ანავარდოს და სხვ. დუტუ მეგრელი ამ შემთხვევაში ნადვილი ქართველია; თავის-თავზე არსად არაფერს იტყვის ისეთს, რაც ქებათ ჩამოერთმეოდეს, ყოველგან და ყოველისფერში თავმდაბალია და თავის ლირსებათა დამცირება სჩევია.

მეორე ლირებას დუტუ მეგრელის პოეზიისას შეადგენს გულ-წრფელო? ა.

კეშმარიტი პოეზია ყოველთვის გულწრფელია. როდესაც პოეტი სწერს მხოლოთ მაშინ, როცა გრძნობს და სწერს მხოლოთ მას, რასაცა გრძნობს, მაშინ მისი პოეზია წრფელ გრძნობაზე არის აგებული. მაგრამ ყევლა ასე როდი სწერს. როცა პოეტი სწერს მს, რასაც არა გრძნობს, რაც ოცნებაში არ განუცდია, მაშინ მისი პოეზიაც ყალბ გრძნობაზე არის აგებული. განა რა მნიშვნელობა იქნა, პოეზიას ყალბი გრძნობა ექნება სარჩულათ თუ წრფელი? ძალა მიმზიდველობისა, ძალა მკითხველის გულში ჩაწილისა, ძალა გატაცებისა მხოლოთ გულ-წრფელ პოეზიასა იქნა, მხოლოთ გულ-წრფელი პოეზია ჰაბლავს აღამიანს, იმონებს იმის ბუნებას, აღელვებს იმის ნერვებს, ატოკებს იმის გულს, გაიტაცებს მას ოცნებისაკენ, აღძრავს მასში კეთილ გრძნობას, სპეტაკ მისწრაფებათ და ამგვარათ სულიერათ ამაღლებს მას. ყალბ გრძნობაზე აგებული პოეზია, რაგინდ შშვენიერი იყოს ის გარეგნობით და მდიდარი შინაარსით ამგვარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს და მაშასადამე თავის მიზანსაც ვერ მიაღწევს.

გადაიკითხეთ დუტუ მეგრელის პოეზიის პირველი ტომი. თქვენ აქ ნახავთ სუსტ ლექსებსაც, მაგრამ არ არის არც ერთი ყალბი ხაზი, არც ერთი ყალბი ამოძახილი, არც ერთი ყალბი ამონა-

კვნესი და სიმშვენიერე დუტუ მეგრელისა პოეზიისა სწორეთ ამაში მდგომარეობს.

დუტუ მეგრელის პოეზიას ახასიათებს სიმარტივე და თან სიცხადე. პოეტის გრძნობა აშერაა, მისი აზრი ცხადი, ნათელი, მისი გრძნობა ყველა-სათვა-ს ადვილათ მისაწილომია, მისი აზრი ყველა-სათვის ადვილათ გასაგვა- და მთელი პოეზია ყველა წლოვანების მკითხველისათვის ადვილათ შესაგნება.

ამგვარ სიმარტივე—სიცხადესთან ერთათ დუტუ მეგრელის პოეზია მდიდარია შინაარსით, მდიდარია აზრით.

დუტუ მეგრელი აკაკის მოწაფეა. თუმცა ბევრგან დუტუს პოეზიის მუსიკა აკაკის პოეზიის მუსიკალურ სიმშვენიერეს ვერა სწვდება ყოველ-თვის, მაგრამ ხშირათ მისი ლექს-ც ისე ჰეიბლაჲს სმენს, ისე ლგალობს გრძნობას, როგორც აკაკის ლექსი.

ივ. გომართელი.

## ნაკადის ჩივილი.

მრისხანე ქარმა დაჰქროლა.  
ჩანგზე აშალა სიმები  
და ტლუდ მოისმის სიმღერა,  
ცრემლების გამაწვემები ..

სევდის ღრუბელმა გაშალა  
თავ-სი ფართე რიდენი,  
დაჰჟარა ფირუზი ცისა  
სრულიად ტატნლ-კიდენი.

არეს ბურუსი დააწვა,  
მთებშია ჩაიცვეს ძაქები,  
ასლ-გ-და! დევენ მთის კალთას  
ღრანტეთ შავბენელი ხაზები.

ნაძვთა და ფიჭვთა, გარინდული  
ჩიმოუფაფრავთ თავები,  
აჩხავლდა ყვავი, ყორანი ..

და გაჰკივიან სვავები...

გულის გამგმირავ ჰანგებსა,  
აპნევენ მთა და ბარზედა...  
მთის ორწოხში კი... ნაკადი  
სჩივის ნაღვლიანს ხმაზედა:

„ტალღები-ტალღებს მისდევდენ,  
ერთმანეთს გჯახებოდენ,  
მიხტოდენ კისრა-კოსრითა:  
ქვისაგან ქვაზე ხტებოდენ,  
ემუქრებოდენ კლდეებსა...  
ვხედავ, რომ ვერას აკლებენ,—

გულს იმშვიდებენ, მიღიან...  
თავისთვის მირაკრაკებენ...

ჩაღიან ბარში, წვებიან,  
მოქანცულები სრბოლითა,  
იყვლენ თავის წრფელ სურვილებს  
ამ უნაყოფო ბრძოლითა  
და მუნ ვლენ მოღუნებულ ათ,  
ოდესლაც გიჟა ტალები,  
ვით ას წლოვანი მოხუცნი,  
ან უსუსური ბალება!...

ბედო, არ მინდა მეც ეგრე.  
დავმცირდე, დავარარავდე!  
განა, მე უნდა ვითმინო,  
შენ კი ულმობლათ მცარავდე?  
არ მინდა თავი ასეთი!!!!!!  
ჰკიის ნაკადი: „არაო!!!“  
მთები კი გადმოსძიან  
ტუქსვით; „დაჩუმდი! კმარაო!...“

## 6. ზომლეთელი.

# სამოთხეში

(ბიბლიური ამბავი).

## 1

ადამი მოწყენილი იჯდა ტიგრის მიხევერდებულ  
ნაპ-რზე. კაეშანი არ შორდებოდა მისს ფართე  
შუბლს, სევდას დაედარა მისი გაშლილი სახე...

ღონიერი, სიცოცხლით სავსე მკლავები ტიტ-  
ველ გულზე დაეკრიფა და მარდათ მჩქეფ ტალებს  
ატანდა თავის ჭმუნვას, • ცდილობდა შოეშორები-  
ნა ბედნიერების ჩრჩილი.. მათ იყო მისი ცდა...

ტიგრი დაუდევრათ მარკლაკნებოდა ზურმუხ-  
ტოვან წალკოტში და ლუკლუკით აკვანს ურწებდა  
იქაურობას. ყველაფერს შეხეროდა, შეტრფოდა...  
არად უჩნდა ადამის მოწყენა, შუბლის შეკვრა...

— ახ, ტიგრო, ტიგრო! ნუ ხარ უგულო, შე-  
მიბრალე! თან წილე ჩემი სევდა... შორს, შორს  
გაატანე შენს ზვირთებს... მომაშორე გემუდარები...

აღმოხდა გულის სილრმიდან ადამს..

— რაო, რა სთქვი? გამოეპასუხა ტიგრი.—  
სევდა? საიდან. მოიგონე ადამეს სიტყვა? მე არა ვი-  
ცი რა ამ სიტყვის.. რას ნიშნავს ადამ?

— არც მე ვიცი, ჩემო საყვარელო ტიგრო,  
არა!.. მხოლოთ კი მტანჯავს, არ მახარებს... მო-  
მეხმარე ტიგრო, მომეხმარე...

— კი გენაცვალე, კი შემოგვევლე! თუ მაგრეა  
მე დაგეხმარები... უთუოდ, უთუოდ... აი დაჯევ

ამ ჩემი ტალღებით მორწყულ ველზე, მიწექ ათა-  
ვერღებულ მოლზე... მე კი აქედან გიუღურტუ-  
ლებ, ნანას გეტყვი... ათასნაირ ამბებს გიმბობ.  
ჩემი სამშობლოს — ასურების სილამაზე მე თან მო-  
მაქეს, შენთვ-ს წამოვილე, ზვირთებში მოვათმა-  
შებ... გიჩვენებ იმასაც, გულს დაგიამებულ ადამ,  
ადამ! ნუ მოიწყენ! მოდი მაკოცე შენის მშვენი-  
რას ტუჩებით, გულს გაგიგრილებ, მშემლზე და-  
დაგირბენ...

— ტიგრო, მე აქ დიდი ხანია ვზივარ, ყურს  
ვუგდებ შენს ჰანგებს, ვსტკბები შენის შეენებით ..  
მარა... მარა სევდა მაინც არ მომშორდა, არა!..  
რა ვქნა რით დავიამო გული!..

და ადამმა უიმედოთ ჩაჰკიდა თავი... მწარე  
ამონაკვენე! ცელქ ნიავს გაატანა სურნელონან  
არეში გასაპნევათ.

— რა იყო ადამ, რათ მოგიწყენია? შეეკითხა  
შას შევლის ნუკრი, რომელიც ადამის ხათრით დგ-  
დას მოშორდა.

— არ ვიცი ჩჩივილო რა მიზეზია... შენ ხომ  
ბედნიერი ხარ? ამ სიტყვებით ადამმა აიყვანა შეე-  
ლის ნუკრი, ჩაკოცნა და ისევ ძირს დასვა.

— ადამ, რა არის სიტყვა ბელნიერი? გულ-  
უბრყვილოთ შეგვითხა ფუნთუშა და კუნტრუშით  
დედას დაედევნა.

ადამმა ერთის წუაით, თითქოს სევდა გადაეყა-  
რაო, უნებლეთ გააყოლა თვალი ბუნების შვალს  
და სახეზე ღიმილმა გადაურბინა

— ოო, შენც აქა ხარ? მიძახე შესკენ მომხ-  
ტუნავ კურდოლის ბაჭიას, აიყვანა ბაშბის ქულა და  
გულში ჩაიკრა.

ტიგრი კი კელავ ზეიმით განაგრიობდა გზას  
და დუდუნით ატკბობდა იქაურობას, ფრინველთ  
ეღურტულთან ერთად შეზავებული, მის ზვირთთა  
ტლაშანი ნიავის მსუბუქ ფრთებრთ არემარეში ფან-  
ტებოდა, იპნეოდა...

ადამი ისევ სევდიანი დაყურებდა მისს მეჯ-  
ლისს.

## II.

— ადამ, დამწნოსე გენაცვალე! დამადე შენი  
ცხვირის ნესტოები! მიძახა გეონის ნოყიერ ნაპირ-  
ზე ყურაცხვეტილმა ზმაბახმა.

— რათ იცი აგრე, ადამ? მე გვერდს ამივლი  
და სხვას ესიყვარულები! გემდური, გემდური...

— არ მცალიან ზამბახო, მე გეონთან მივდი-  
ვარ, გეონთან...

— რათა, რისთვის?

— მინდა ვიბანავო მისს ზვირთებში, იქნებ  
სევდა ჩამომრეცხოს...

— ადამ, რა არის სევდა? შეეკითხა მას ბულ-  
ბული, რომელიც სიყვარულით ჩარიცხდა, განიერ,  
გაშლილ მხარზე.

— ამ, მე რომ გულს მიღრღნის, ბულ-  
ბულ...

— შენ რა გიღრღნის გულს?

— სევდა.

— შე არ ვიცი სევდა... რა არის სევდა?  
და ფრთა დაჰკიდა, კული ჩამოშალა, თვალი  
დანაბა ბულბულმა. დიღხანს აულერა მან თვისი  
ჩანგი, აკენეს — ქვითინა იჯი გრძნეული. ადამიც  
თან გაიტაცა, დაათრო, თავი დაავიწყა... მხოლოდ  
მაშან გამოარკვია, როცა გარინდებული გეონის  
ტალღებში შეაცურა... დიღხანს, დიღხანს იყურ-  
ყუმალავა ადამმა ანკარა ზვირთებში...

მარა... ისევ სევდა... ისევ სევდა...

— გეონ, გეონ! არც შენ მოერთგულე, არც  
შენ მომაშორე ვარამი? დააყვერა ადამმა განბა-  
ნის შემდეგ და მსწრაფლ განშორდა იქაურიბას.

— მე აკი შენს სხეულს ვეშეაპუნე, ვესიყვა-  
რულე, ვეთმაშე... მაპატიე თუ მეტი ვერ შევ-  
ძლი! მიაძახა გეონმა და ისევ განაგრძო ტალღათა  
დენა.

— ადამ, სად მიეჩარები? ჰკითხა ხვადია  
ვეფხემა, რომელსაც უგრძნობლათ მიკროდა გულ-  
ში ძუ ვეფხე. ნეტარობდენ, ტკბებოდენ, პირუ-  
ტყვნი.

ადამი გააქვავა ამ სურათმა. ის გაშტერებული  
უცემოდა მას... ტანჯვა მისი გაასკეცდა, კრთო-  
ლება სხეულისა გათასკეცდა... გონება დაბნა,  
თვალთ დაუბნელდა...

საშინელი ძალა, ძირიან-ფესვიანათ შემრყევი  
ქარტეხილი დატრიალდა მისს არსებაში,

მუხლ მოკვეცილი ადამი მიწაზე გაიშელართა.

### III

— რა გინდა კაშკაშავ, რა? აკი გეუბნები,  
რომ მაცალე მეთქინ... მე აგრე მინდა ვიყო, ჩუ-  
მათ, გარინდებული!.. მაშ მაცალე! შესჩივლა  
ადამმა მთვარეს, რომელიც ლაუვარდს ტატნობიდან  
ჩამოკინოდა.

— ვერ დაგეხსნები, ვერა ადამ! გამომიგზავ-  
ნე შენი სევდა, ვარამი!... ნიავს გამოატანე, ამო-  
მიტანს აქ... და შემდეგ მე ვიცი სად მივუჩენ მას  
ადგილს!.. ადამ, ადამ, გაიგონე ჩემი მუდარა!  
შუქურთა ხათრი მაინც არა გაქვს შე კაცო, ისი-

ნიც გემულარებიან, გეხუწებან... ამოგვახედე  
მაინც, ნახე როგორ ვამშვენებთ ცის გუმბათს...  
ოღონდ შენ ნუ მოიწყენ, შუბლს ნუ შეიკრავ და  
ჩვენ თავს დაგაკვდებით, ათასნაირ მომხიბლველ  
სურათით გასიამოვნება.

— თუ ღმერთი გწამს ნუ მელაპარაკები, ფი-  
ქრს ნუ დამაშლი! არა ვარ მე ეხლა მუსაიფის გუ-  
ნებაზე, არა...

ადამმა დახუჭა თვალები, ზანტაზ გაშ-  
ხლართა დანამულ ბალხზე და მშვენიერი, სისხლ-  
ხორცით სავსე სხეული ღამის მნათობის სხივებს  
მიუშვირა.

— გაშ. სხეულს მაინც გიკოცნი... გულში  
მაინც ჩაგიკრავო... ჩამოსძახეს ვარსკვლავებმა მთვა-  
რეთან ერთად და ადამს სხეულის ყოველი წა-  
წილი გულში ჩაიხუტეს, მიუალერსეს...

— ადამ, ჩემსკენ გადმოსწიე თავი, დამყნო-  
სე! შემახე შენი ნაზი ტუჩები... შეეხეწა ია,  
რომელიც ადამის თავთან მტრედის კაბა გაშლილი  
კოხტაობდა.

— ოო, აქა ხარ?... მარა..., მარა... მაცალე  
იავ, ხმას ნუ გამცემ მე არა ვარ ახლა ალერსის  
გუნებაზე... არა...

— ადამ, გრძნობ როგორ გეხვევი? როგორ  
ვეალერსები შენს მუხლებს? გესიამოვნა განა? ეკი-  
თხებოდა მაღალი, ნაზი ლერწამი, რომელიც  
ფრთხილათ შემოფუთნოდა ადამს თეძოებზე და  
წივებზე და ჩუმათ, ქურდულათ უკოცნიდა თოვ-  
ლივით თეთრ ტანს.

— ნუ, ნუ მკითხავ, გრძაცვალე, ნუ. . გულის  
ტკივილით ამოიკვნეს ადამშა და ბალახებში გვერ-  
დი იბრუნა.

— ვახ, ნეტავი მე ჩამოკონებოდე მაგრამმა-გრა-  
ტამოიძახა მს მნახველმა სუმბულმა.

— ვახ, ნეტავი მე ვიყო ადამ შენი ფანდა-  
ზი... რამდენს გკოცნილი, რამდენს რომ იცოდე!..  
რა ბეღნებრი ვიქნებოდი! ამოიკვნეშა ზამბახმა!

— რა ბეღნიერი ვარ, ღერეთო ჩემო, ადამის  
გულმკერდში ვარ მინაბული, — ნიშნის მოსაგებათ  
ხმა მაღლა დაიძახა სოსანმა.

ადამი კი გამოუჩვეველ სევდით გულ დასე  
რილ-დართვილული არავის ყურს არ უგდებდა..  
თავის გულის ჯავრს დასტრიალებდა.

— რა მტანჯავს ასე რა? განა არა მაქვს  
სასმელი საჭმელი?! განა მცირა, ან მწყურია? განა  
მთელი ეს მშვენიერება და სიუხვე ჩემთვის არ  
არის? განა მეცილება ვინმე? მაშ რა არის? რა  
მტანჯავს, რა მქენჯის?

— ყველას ვკითხე, მთის ბარს; წალკოტს;

ცას. დედამიწას, ნაკადულს და არავინ პასუხს არ გაძლევს... ამის ნაცვლათ თავს მევლებიან, სიმშვე-ნიერეს წინ მიფენენ, მიშლიან... ჯანდაბას მაგათი თავი!..

— რათ მინდა სამოთხის თვალის წარმტაცი კარმიდამო. რას მიკეთებს მისი კლემა მოსილი, ქალ-წულებრივი სილამაზე? რ.ს მაქნისა ჩემთვის ტიგ-რის ღულუნი, ეფრატის ტალღათ ტლაშანი!.. თუ ყველაფერი ეს ჩემს სევდას არ გაფანტავს?..

თუ ჭმუნვას არ მომისპობს?  
თუ არ გამაბედნიერებს?..

— ადამ, ადამ: თვალი გაახილე, ცელქი ნიავი გესტუმრე... ტიგრმა სიტყვა დამაბარა შენთან..

— რაო, დარდებს გაგიქრობო?

— გენაცვალე, დარდი რას ქვია მე არ ვიცა. ტიგრის დანაბარებს კი გეტყვი. გასააზოვნებს თუ არა ჩემი ბუტბუტი? გამოგიგზავნო თუ არა ცელქი ნიავიო. თან მწყინსო, რომ აგრე ახლო განცვენება და მეკი უწინდებურათ არ მომინახულე, არ ჩახ-ვრაპე ჩემი ტალღებო...  
— არა მცალიან თქვენთვის: მომშორდით!..

ნიავი შეკრთა და იკითხა:

— რა მოუვიდა ადამს?

— არ ვიცით, — მიუგო კოკობმა.

— არც მე, — წამოიძახა სოსანმა.

— არც ჩენ, — წამოიძხეს იქაურობის სურნელებით დამატებობელმა ყვავილება.

— ეს რომ ვიცოდეთ ბედნიერნი ვიქნებით მე და ბულბული, — ამოიოხრა იადონმა.

— აკი მისმა დარდებმა ლამის არის გადავიტანოს ორთავე, ცრელათ გვაქციოს, გაგვაქროს, მთელი დღეა თავს თავგაულობთ, ათასნაირის ჰანგე. ბით და ერთხელაც უწინდელი ღიმილი ვერ მოვგვარეთ, უწინდებურათ მხიარულაკ ვერ ვიპოვეთ... ამის მნახველთ ცრემლები მოვვერია, გული აგვიჩუყდა... აბა ერთი ნახე ნიავო, რამდენი ცრემლია ჩენ თვალთაგან გადმონაქუხი ადამის მშვენიერ, შიშველ სხეულზე!... ეს ციური იაზმი სულ ჩენი ცრემლებია, ჩემი და ბულბულის, მარა მაინც ვერს გავხდით...

და იქაურობამ წყენით ამოისუნთქა. ადამის კაეშანი ყველას გულს მოხვდა: იამ ყურები დაუშ. ვა, ლერწამი გაწვა, სუმბულმა გრძნულათ ამოიოხ-რა, ბულბულმა იადონთან ერთად სამგლოვიაროთ ააწკრალა სამება... თაფლის ფრად შეგუფთული მთვარე გორაკს აწოეფარა... ზავი რიდე გადაეფარა იქაურობას... ტიგრმა ღულუნს ლკლო. ვარს — კვლავთა გუნდმა ციმციმს.

გამეფუდა ქვეყნად კაეშანი, სევდა.. გამოურ-კაეველი მღუმარება, უსაზღვრო გოდება...

— ადამ, რათ მოგიშეყნია? მოისმა ამ იღუშალ სიჩუმეში ღმერთის ხმა.

— მე, შენთან მოველ აღამ, სამუაიფოთ, გესმის?

იქაურობა შედრკა, სმენათ იქცა.

— ახ, შენ? შენ?

ადამი ამ სიტყვებით განგმირულივით წამოიჭ-რა ზეზე და კითხვათ გადაექცა იქაურობას ..

— კიდევ შენ?

ადამის თვალებმა ცეცხლი დაკვესა, მისმა აღმოძახილმა იქაურობა შეარყია შეაზანზარა...

— დახ, მე... ისევ მე!.. იყო ხმა უფლისა,

— არა, არ მინდა შენთან მუსაიფი, არა!.. მომწყინდა, გულს მიყინავს შენი დარიგებანი... მე სხვა მინდა, რაღაც სხვა... მომშორდი.. მომ-შორდი!..

და ადამი გაშმაგებული მიიღო ევფრატის ნაპირებასკენ, ზერგი აქცია იქაურობას. მისმა ლა-მაზმა, ჩამოსხმულმა, ვით წმინდასანთელი, სხეულმა ელვასებრ გადირბინა ცილრის ცრემლით შენათქვი-რები უცხო წალკოტი და მსწრაფლ სადღაც მიიმა. ლა, გაქრა...  
ჩაფიქრდა ღმერთი... ჩაფიქრდა იქაურობა...

— რა უნდა ადამს? იკითხა ღმერთმა.

— მე ვიცი! უპასუხა მთელმა სამყარომ.

— მაშ უნდა შევირიგო ადამი... უნდა გავუ-ჩინო მისი მსგავსი! სთქვა ღმერთმა.

### 3. მალაქიაშვილი

(დასასრული იქნება)

## ჩემს ყვავილს.

ჩემო კარგო, ჩემო ნაზო,  
ჩემი ბალის, ტურფა შეილო,  
შენმა ხვედრმა დამანელა,  
ლამაზ ფრთებით შემკობილო!

ბალში ვიყავ, სახლში შეველ,  
დავბრუნდი და ვეღარ გხახე,  
საღ ხარ, საღ ხარ სამურო  
გეძებ, ვეღარ დაგინახე?

ნუ თუ მტერთა ბოროტ ხელმა  
შეგიმოკლა აღრე დღენი?  
ნუ თუ არას დროს გათენდეს  
სანეტარო ღილა ჩენი?

ან თუ რამე გაწყენინე,  
ჩემო ტურფავ გეზარები,  
მითხარ, მითხარ გენაცვალე,  
თავს დაგიკრავ, გაკცლები!

\* \*

— დღეს არა ვარ ტურფა, ნაზი.  
არც მაქვს ტურფა მე თვალები,  
ბოროტ ძ ლას, ჩემს მაძებარს,  
გადავუდექ, ვემალები.

დამკექრს სხივი მოციმცე,  
ის მ:ცოცხლებს, მას ულდგმულებს,

— ფრთებიც მალე შეგექმება,  
გაიხარებ — ჩამჩრერჩულებს —

მოდი მაშინ, ჩემო კარგო,  
და ხმა ტკბილიც მამგონე,  
მეც გაკოცებ — შენაც თრთოლვრთ  
მაშინ ფრთებში ჩამეკონე...

8. გელა.

## ცოტა რამ ხელოვნებაზე.

I

ბურუუაზიული მეცნიერებას საერთო შეხედულებით, ხელოვნება ეს აღამიანის სულიერ კულტურის ერთგვარი დარგია, საცა სუბიექტიური ინდივიდუალობა თავის უმაღლეს გამოხატულობას პოულობს, საცა აუამიანის პარავნება განსაკუთრებული მედიუმით დღიცელდება. თვითეული ხელოვანი თვის ხელოვნურ ნაწარმოებში, ან ნამოქმედარში აქსოვს თავის სულიერ ორიგინალობას. ჩვენი აზრით ბურუუაზიულ იდეოლოგების ხელოვნებაზე ასეთი შეხედულება სწორი და ნამდვილი არ არის, ვინაიდან სუბიექტურ ელემენტებს, სუბიექტიურ სიმპტომებს ნაკლები მნიშვნელოვანი აქვს. ხელოვნების ახსნა-განმარტებისთვის; ხელოვნება მარქსისტულ შეხედულებით, როგორც აღამიანის სხვა სულიერი მიდრეკილება მისწრაფებანი, მჭიდროთ შეკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, იგი სოციალურ ურთიერთობის, სოციალურ არსებობის აუცილებელი ნაყოფია. ყოველი ხელოვანი, მიუხედავათ თავისი სუბიექტიური გრძნობა-შთაბეჭდილებისა, შვილია თავის ხალხის, საზოგადოებისა და დროსი. შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ინსტიტიურათ თუ განზრახ, თითოეულ ხელოვანს, ხელოვნური სურათები, ხელოვნური ტაბები ფიგურები გარეშე ცხოვრებიდან ამოაქვს; მისი გრძნობა-ბიდრეკილება, შეხედულება და აზროვნება არსემულ სოციალურ პოლიტიკურ ცხოვრებიდან გა-

მომდინარეობს, პირველი ძლიერ ზედ-გავლენას განიცდის უკანასკვნელიდან. ხელოვნება, მაშინაც კი, როცა იგი უზენაეს მიზანს ემსახურება, სავსებით სოციალურ პარობებს ექვემდებარება. ხელომვნების სიმშვენიერის წარმოდგენა, ანუ სწორეთ როვსთქვათ — ესტრეტიკური იდეალი ცხოვრების იდეალიდან განუყრელ-განუშორებელია, მისი აუცილებელი ატრიბუტია, იგი, როგორც ჩვეულებრივი გრძნობა აღამიანთა საერთო ცხოვრებისა. გაშასადამე, ხელოვნება, როგორც აღამიანის სუბიექტიური მისწრაფების გამოხატულობა, არ არსებობს.

ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, სახელდობრ 1904წ, როცა მასის რევოლუციონური ქუჩაზე გამოსვლა ისის იყო იწყებოდა, რუსეთის მუსიკალურმა ფერენიმა (კავშირმა) პეტიციის საშუალებით, როგორც მათ შეეფერებოდა, პოლიტიკური თავისუფლება მოითხოვა. მუსიკალური ფერენი პეტიციის სამართლიანობას უმარტივესად ამ შეხედულობაზე ამყარებდა, რომ აბსოლუტური ბატონობა, რომლის პირდაპირი შედეგია, საზოგადოების ცხოვრების განვითარებლობა და პოლიტიკური მონია, ბოჭის, ახშობს აღამიანის გრძნობის და ფსიხიურ ცხოვრების გაფურჩქნა — აყვავებას; არივ ერთა ჯერ თერებებს მუსიკალური ხელოვნების განვითარებას. როგორც ვხედავთ, ხელოვნება და საერთოთ სიმშვენიერის გრძნობა საზოგადოებრივი მოვლენაა, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატულობა. თვით აღამიანი მთელი თავის სულიერ-ხორციელ არსებობათ კაცობრიობის განვითარების ყოველ საფეხურზე მუდამ სოციალურ არსებობას აწარმოებდა, საზოგადოებრივი არსებათ ითვლებოდა, ანუ როგორც საბერძნების უდიდესი ფილოსოფიასი არისტოტელი ამბობდა: „საზოგადოებრივი ცხოვრელი“. იგი მუდამ და ყოველთვის სხვა აღამიანებთან განსაზღვრულ კავშირ-ურთიერთობით შეკავშირებულია. და აი, ამ სოციალურ კავშირ-ურთიერთობამ წარმოშობა და განვითარა აღამიანის ელემენტარული სოციალური ინსტრიქტები, წარმოდგენა-შემეცნებები და ესტრეტიკური გრძნობება. გრძნობა, სიმშვენიერის თუ ხელოვნების შექმნელ-დამბადებელი, მისი სულის ჩამდგმელი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებაა, მთავარი ბაზისი, რაზედაც აღმოცენებულია აღამიანის ყველა თვისებები; საცა ცხოვრება არ არსებობს, იქ არც გრძნობა და ხელოვნება არსებობს.

პროლეტარიატის ცნობილი ფილოსოფოსი ი. ლიცენი თავის თხუზულების ერთ ალაგს ამბობს, რომ როგორც საერთოთ, კაცობრიობა აბსტრაქტიულ

(განყენებითი) და უშინარსოა, ისე ამსტრაკტიული და უშინარსოა საზოგადოთ ეთიკა, ისე რასა კურველია, უპრაქტიკო და უშედევოა ეთიკური კანოები, რომელსაც ზოგიერთა მეცნიერ-ფილოსოფოსები თავიანთ მოძღვრება. შეხედულების საფუძვლათ აღვიარებენ. ჩვენ ვგონებთ ო. დიცენის ეს სიტყვები თამამათ შეიძლება ითქვას საზოგადოთ ხელოვნებაზე და აქედან გამოყვანილ ესტეტიკურ კანონებზე. რასა კურველია აქ ამით იმას თქმა არ გვინდა, ვითოვ ეგიკასა და კაცობრიობის შორის ისეთივე სწორი და მგზავი ურთიერთობა. კავშირი ერსებობდეს, როგორც კაცობრიობა და ხელოვნების შორის, არსებობს ერთ გეარი განსხვავება, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ხელოვნება საზოგადოებრივ ცხოვნების ისეთივე ნაყოფია, როგორც მაგ. ეთაკა, მორალური შეხედულობა და სხვ...

განვმარტოთ ცოტ, უფრო კონკრეტიული მაგალითებით. მეცნიერებიდან ვიცით, რომ ხელოვნება ეს ადამიანის შინაგანი გრძნობის, უმთავრესად ფერისა და ხმის (ტონის) ფიგურებით გამოხატვაა. კაცის შინაგანი, თუ გარეგანი გრძნობა, მისი შინაგანი სულიერი ცხოვრება-კი თავის მგზავს ადამიანებთან არის შეკავშირებული და არა განყენებულ, ხელმოუჭიდებელ არარაობასთან. მაშასადამე ხელოვნება თავის ფართო მნიშვნელობა — შინაარსით ადამიანთა ურთიერთობის ზედნაშენია, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული, რომელიც ცხოვრების ცვლ სთან ერთათ იცვლება და სხვაფერდება. მაგ. ბურუჟაზიული საზოგადოებას თათოებული ინდვიდუუმი მთელი თავის აზროვნება შეხედულებით, მთელი თავის გრძნობა-შთაბეჭიდლებით მჭიდროთ შეკავშირებულია არსებულ წარმოების პროცესთან, წარმოების ურთიერთობასთან და ეს მისი ასეთი მჭიდრო შეკავშირება საწარმოკო ურთიერთობასთან აშკარათ გამოსჭვრეტს ხელოვნებაში; თავის ასეთ დამოკიდებულობას ხელოვნურ ფიგურების სახით, თუ შეიძლება ისე ითქვას, ხატავს კონკრეტიულათ, ასხავს ხილულ ფორმებში. დღიდან ბურუჟაზიული საზოგადოების აღორძინებასა-დღევანდელამდე ეს მიღრეკილება აშერათ გამოსჭვრეტს უკვე გვივის ყოველ გვარ ხელოვნურ ნაწარმოებში. მომავალ სოციალურ საზოგადოების ინდივიდუუმი კი, როცა იგი მთელი წარმოების და ნაწარმოების ბატონი შეიქნება სხვა გვარი გრძნობისა იქნება, ცხოვრებიდან სხვანაირ შთაბეჭიდლებას მიიღებს და ი ამ გრძნობას, მომავალი ადამიანი, ხელოვნებაში გამოხატავს; მისი ბატონ-პატრონობის გრძნობა, გრძნობა თავისუფლებისა

და ბედნიერებისა აუცილებლათ გარეგნულ ფორმაში ჩამოისხმება, როგორც საზოგადოებრივი ადამიანი უსათუოთ ეცდება თავის შინაგან გრძნობა შთაბეჭიდლებას გარეგანი გამოხატულება მისცეს. ეს ჩელოვნება კი მთელი თავისი შინაარს-გამოხატულებით ბურუჟაზიულ ხელოვნება-დან იმდენათ დაშორებული და განსხვაებული იქნება, რამდენათაც მომავალი სოციალური საზოგადოება განსხვავებული და დაშორებული იქნება აწმოდან. და ეს განსხვავება — ვიმეორებთ — აუცილებელ წარმოებას ურთიერთობით არის გამოწვეული, დღევანდელი ეკონომიურ სოციალური ცხოვრება, დამყარებული კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომის პირობებზე, მომავალი კი საერთო საკუთრებაზე და საზოგადოებრივ შრომაზე. როგორც ვხედავთ გრძნობა ხელოვნებისადმი და საერთოდ ხელოვნება ნაწილია საზოგადოთ ცხოვრებისა, იგი, როგორც სხვა დანარჩენი დარგი ადამიანის სულიერ ცხოვრებისა, როგორც არის მაგ. ენა, მწერლობა, მეცნიერება, შემეცნება და სხვ. კაცობრიობის ხანგრძლივ განვითარების ნაყოფია, იგი გარიგან ცხოვრების გამოძახილია, იგი გამუდმებით იცვლება და ვითარდება; ხელოვნება, როგორც ყოველი სხვა გრძნობა, სუბიექტია და ობიექტი, შორის, ადამიანსა და ხილულ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობის შედეგია.

ხელოვნების შინაარსს კი, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, უმთავრესათ სიმშვენიერე შეადგენს სიმშვენიერე ყოველგვარ ხელოვნებას ესენციათ ითვლება. მაშ რა როლს თამაშობს სიმშვენიერე ხელოვნებაში? ამაზე შემდეგ.

უფარცი.

•••••

## სახელმისამართი

(ლ. ანდრევევისა).

### 1. დღის პირველი საათზე, თქვენთ აღმაფებულება!

მინისტრი ძლიერ მსუქანი კაცი იყო, ადვილათ შეიძლებოდა დამბლა დასცემიდა და რომ არ ედელვებინათ, დღის სიცროთხილით მოახსენეს, მოკვლის გიპირებენ, მდგომარეობა მეტად საშიშოა. მაგრამ მან დამშვიდებით მოისმინა ყველაფერი, ლიმილმაც კი გადაკრია სახეზე და ამიტომ დაწვრილებით მოახსენეს: რამდენიმე ტერორისტი, რომელიც უკვე გასცა პროფესიონალი, ყუმბარებით და რევოლვერებით შეირაღებული, ხვალ,

დღის პირველ სათისთვის ჩასაფრებული იქნებიან ქუჩაში გასასვლელ კარებთან, სადაც სისრულეში უწდა მოიყანონ თავიანთი განზრახვა, როცა მოსხენების გასაკეთებლათ წახვალო, იმ კარებთანვე შეიძყრობენ ყველას.

— კი მაგრამ—გაუკვირდა მინისტრს— სადან იციან მათ, რომ მე ხვალ დღის პირველ საათზე გვალ მოხსენების გასაკეთებლათ. როცა მე თვითონ გუშინ წინამდე არაფრი ვიცოდი ამაზე?

დაცვის უფროსმა გამოურკვეველათ გაიქნია ხელგბი:

სწორეთ დღის პირველ საათზე, თქვენი აღმატებულებავ! მინისტრმა თავი გაიქნია, ცოტათი შუბლი შეიკრა და სქელ, ოდნავ ჩაშავებულ ტუჩებზე ღიმილმა გადაჰკრა: ძნელი გასარჩევი იყო რას ფიქრობდა იგი—უკვირდა, თუ მოსწონდა მოქმედება პოლიციისა, რომელმაც ისე კარგათ მოაწყო ყველაფერი. პოლიციისთვის რომ არ დაეშალა, მოღიმარი სახათ, მორჩილებთ, საჩქაროთ მოემზადა დდა ღამის გასათვად ვალაცის სასახლეში გადავიდი. ამ საშიში სახლიდან, რომელსაც ხვალ ყუმბარებით უნდა მისდგომოდენ, გადაიყვანეს აგრეთვე მინისტრის ცოლი და ორი ბავშვიც.

სანამ სხვის სასახლეში იყო, სანამ მინისტრის ნაცნობები მას სალამს აძლევდენ, უცინოდენ, თვიანთ აღშფოთებას გამოსთქვამდენ, წარჩინებულს რაღაც სიამოვნების გრძნობა უღიტანებდა გულში — თითქო იგი უკვე დააჯილდოეს, ან ეხლოვე უნდათ დიდა წარმატება, დიდი, სრულიათ მოულოდნელი ჯილდო მისცენო. მაგრამ სასახლე დაცარიელდა, ნაცნობები წავიდ-წამოვიდენ, სინათლე ჩაქრეს, ფანჯრებში შემოიჭრა და ჭრისა და კედლებზე გაწვა ელექტრონის ფარნების გაბადრული, მკრთალი ნაჟელი; იგი უცხო ამ სახლისათვისა მისი სურათებით, ქანდაკებებითა და სიჩრდით უცნოვთვე შემოპარული ქუჩიდან, თვითონ ჩუმა და გამოურკვეველი, რაღაც შიშისა და თრაილვის გრძნობებს აღვიძებდა გარშემო, თ-თქოს გეუბნება, ტყუილათა დაკეტილი კარები, ტყუილია ყოველი ზომები დაცვისა. ტყუილია სიმაგრე კედლებისათ. და აი ბნელით მოსილ უცხო ოთახში. სიჩრდესა და მარტობაში, დიდებული საშინელები შიშმა შეიძყრო.

თირქმელებით იყო ავათ და ძლიერი მღვარების დროს მუდამ თავ-პრში წამოაწვებოდა, სახე, ხელები და ფეხები დაუსივდებოდა და ეს სულ უფრო ამსხვილებდა, ასქელებდა, უფრო ამძიმებდა. ახლაც დასიებული ეგორა ნახევრათ ჩაზნექილ საწოლში, გულს ავათმყოფის ნაღველი მოსწოლოდა,

კარგათ გრძნობდა თავის დაშუპულ, თითქოს სხვის სახეს და თავიდან არ შორდებოდა ის აზრი, თუ რა ულმობელ ბედს უმზადებენ მას აღამიანები. მოაგონდა საშინელი შემთხვევები ახლო წარსულიდან. მოაგონდა როგორ ა:ფეთქებს ყუმბარებით მასაცით და უფრო მეტათ ღირსეული, წარჩინებული პირები, მოაგონდა მათი სხეულები, ყუმბარებისგან ნაკუშ-ნაკუშათ ქცეული, მოაგონდა მათი ტვინითა და სისხლით გათხუპნული კედლები, თვალწინ წარმოუდგა მათი აფეთქებისაგან კბლებ ჩამსხვრეული თავები და ამ მოგონებამ აშალა, თავის საკუთარი, ლოგინზე გაწოლილი მსუქანი სხეული სხვისათ მოეჩვენა, აფეთქების ალი უკვე მომედო. ფიქრობდა: აა ელანდება, ვითომც ხელები მოსხრა მხრებში მის სხეულს, აი, კბილები სცივია, ტვინი დაუნაკუშდა, ფეხები და უძრავათ გდრან, თითებ აშვერილი, თითქო მკვდარიაო. ტრიალებს ლოგინში, რაც ძალი და ღონე აქვს, სუნთქვას ხმა-მაღლა, ახველებს, განებ ანელრცს საწოლის მავთულებს, აშრიალებს საბანს, უნდა გარშემო სიცოცხლე სუფევდეს, მკვდარს არაფრით ჰგავდეს, ყველა ხედავდეს, რომ იგი ცოცხალია, ერთი იამცეციც არ მოჰკვდარა, არც ფიქრობს სიკვდილზე, ისე როგორც ყოველი სხვა აღამიანი— მაღალის, ოხის ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტიად არღვეც ითხახში იჩუმესა, და მარტობას:

— ყოჩაღ ბიჭებო! ყოჩაღ ბიჭებო! ყოჩაღ!

ამით ის აქებს ჯაშუშებს, პოლიციასა და სალდანებს, აქებს ყველას, ვინც მისი სიცოცხლი მცველია, ვინც ასე დროზე, ასე მარდათ გაუგო ბოროტ გამზრახველო. ტოკავდა აქებდა, აბრუცულად, ნაძალადევათ ილიმებოდა, რომ ამათ გამოეხატა თავისი დაც ნვა, სულელი, დამარცხებული ტერორისტებისაღმი— მაგრამ მაინც არასჯეროდა, რომ გადარჩოდა ცოცხალი, ვერ დაეჯერებინა, რომ უცბათ ვინმე არ მიეჭრებოდა და არ ააცლიდა სიცოცხლეს. სიკვდილი, რომელიც გადაეწყვიტათ მისთვის და რომელიც მხოლოდ გადამწყვეტელთა აზრში ტრიალებდა ჯერ, მხოლოდ მათ განზრახვაში. ქონდა მას ადგილი, ეს სიკვდილი თითქოს თვალწინ დასდგომოდა, თითქოს არც კი აპირებს წ. სკლას, თიქოს, არ გაშორდება, სანამდის იმათ არ დაიჭერენ, სანამ მათ ყუმბარებს არ წაართმევდენ, მიუვალ სიმაგრეში: რ ჩამწყვევევნ ყველას. აი, იქ, კუთხეში გაჩერებულა, არ ინძრევა ადგილიდან, ვერც წავა, როგორც მორჩილი ჯარის კაცი, ვიღაცის ნებითა და პრინცესით დარაჯათ დაყენებული.

— დღის პირველ საათზე, თქვენი აღმატებულებავ! — ყურში ჩასახოდა მას ეს სიტყვები, ხან

მხიარულათ დამცინავი, ჩან მწყრალი, ხან ჯიუტი და რაღაც ჩლუნგი, მოუხერავი. თითქოს ამ ოთახში აწყობილი გრამოფონების მელი რიგი ჩაუმწყრივებიათ, და ისინიც ერთი-მეორეზე, გახელებულათ, უსულო საგანარა სირევუნით ცვრიან შათვის ნაბრძანებ სიტყვებს:

— დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ!..

და აი ამ ხვალინდელ „დღის პირველ საათს“, რომელიც აგერ ახლა არაფრით არ განსხვავდებოდა სხვებისაგან, რომელიც ოქროს საათის ციფრებლატზე ნელი, მშვიდი სიარულის მეტი არაფერი იყო, უცბათ საშინელი ბოროტების სუნი აუვიდა, ციფრბლატიდან აჩოხტა, ცალკე მოეწყო, გაიზარდა, როგორც ვეებერთელა შავი ბოძი, რომელმაც მთელი ცხოვრება ორათ გასჭრა. თითქოს არც მის მდე, არც მას შემდეგ არ ყოფილიყოს ქვეყანაზე არავითარი საათი, და მას, მხოლოთ მას, ურცხვისა და საეჭვოს, აქვს უფლება რაღაც განსაკუთრებულათ იარსებოსო.

— რა გინდა? — გაჯავრებით წაილულლული მისისურმა.

— დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ! — გაპიოდენ გრამოფონები, შავი ბოძი კაიცინდა და თავს უკრავდა. მინისტრმა კბალები გააკრაჭუნა, წამოდგა, ლოგინზე წამოჯდა, და თას ვით ხელზე დაეყრდნო — არ იქნა, ვერ დაიძინა ამ საზიზლარ ღამეს.

სახეზე გითვარა თავისი ფუნჩულა, სუნნელოვანი ხელები და შემაძრწუნებელის სისწორით წარმოიდგინა, როგორ იდგებოდა ხვალ, ყავის დალევდა ისე, რომ არაფერი არ ეცოდინებოდა, შემდეგ პალტოს ჩაცვამდა. არც მან, არც მეკარემ, რომელიც ქურქს მოასხამს, არც მსახურმა, რომელიც ყავის მიართებს არ იცის, რომ ყოვლად უზრობა ყავი სვა და ქურქი იცვა, როცა, რამდენიმე თვალის დახამხამების შემდეგ, ყველაფერი ეს: ქურქიც, მისი სხულილიც, ახალ დალეული ყავითურთ ყველაფერი ეს განადგურებულ იქნება აფეთქებისაგან, ყველაფერი სიკვდილის კერძი გახდება. აი მეკარე კიდეც აღებს კარებს... ამას სჩალის მეკარე, კაცი სათნოიანი, გულკეთილი, ალერსიანი, ცისფერი, სალდათური თვალებით, კაცი, რომელიც გულ-მკერდი ორდენებით სავსე აქვს, თვითონ საკუთარი ხელით აღებს საშინელ კარებს — აღებს იმატომ, რომ არა იცის რა. ყველა იღიმება, რაჭგან არაფერი არ იციან.

— ოჟო! — უცბათ თქვა მან ხმა-მაღლა, პარს

ნელა ხელები მოაშორა, მიაჩერდა შორს, სიბნელში გაშტერებულის თვალით.

ნელა გასწია წინ ხელი, კედელზე მიავლ-მოავლო, იპოვნა ელექტრონის კოჭი და აანთო. მერმე ადგა, ფეხშიშელი გაიარა ფარდაგით მოფენილი იატკი და მეორეოთახში გვიდა. იქაც იპოვნა და აანთო ელექტრონი. ოთახები განათდა, გულს სიახე მოფინა, მხოლოთ აფორიაქებული ლოგინი და ძირს, იტაკზე გადმოგდებული საბანი მოშობდენ, რომ ჯერ კიდევ მთლად არ გათვებულა რაღაც საშინლებამ.

საღამურ თეთრეულში, გამუდმებული ტოკვისაგან აჩეჩილი წვერითა და გაჯავრებული თვალებით, მინისტრი არ-ფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ჭიჭიყინა ბერკაცისაგან, რომელსაც მუდმივი უძილობა სჭირდება და გულზე მდ მეთა ხ-ხინებს. თითქოს მთლათ გაუხარეკია იგი მასთვის, აღამიანების მიერ გამზადებულ, საკვალის, მთლათ მოუტაცნია მისთვის მას ის ფუფუნება — სიმდიდრე, რომელიც, მას გარს ეხვია. ძნელი დასჯერებელი იყო რომ ეს იყო კაცი დიდი ძალა უფლების მქონე, რომ ეს მისი სხეული, ისეთი ჩვეულებრივი, უბრალო სხეული ადამიანისა, უნდა საშინლად დარუპულიყო ცეცხლში, განადგურებულიყო შესაზარაფეთქებისაგან. ის ჩაუკმელა ჩაჯდა პირველ შეხვედრილ საგარეულში, თავისი აწეშილი წვერით ხელზე დაეყრდნო და ღრმათ ჩაფიქრებული დამდგარი, მშვიდ ფიქრებში გართული, მიაშტერდა გამოქანდაკებულ, უცნობს ჭერს.

— აი გაშ საქმე რაში ყოფილა! აი მაშრამ შეაშინა და აალელვა ასე! აი თურმე რათ ატუზულა იგი კუთხეში, რატომ არ მიდის, რატომ არ შეუძლია წავიდეს!

— სულელებრ! — ზიზლითა და ბეჯითად სთქვა მან.

— სულელებ! — უფრო მაღლათ გაიმეორა და ლდნავ მიაბრუნა თავი კარისაკენ, რომ გაეგონა იჩათ, ვისაც ეკუთნოდენ ეს მისი სიტყვები, ვისაც იგი ცოტათი წინეთ კაი ბიჭობას უქებდა და ვინც გადამეტებული ერთგულობით დაწვრილებით უამბო მას ყველაფერი ტერორისტების განზრახვაზე.

— რა! აკვარველია, — ფიქრობდა იგი — ეს მხოლოთ ახლა, როცა მიაჩეს, ჩე ვიცი და მეშინია, მაშინ ხომ არაფერი არ მეცოდინებოდა და დამშვიდებით შევექცეოდი ყავის. მერე კი, რა თქმა უნდა, სიკვდილი — მაგრამ განა ასე მეშინია მე სიკვდილის! აი თირკმლები გტკივა, ხომ უნდა მოკვდე როდისმე, სრულებითაც არ მეშინია,

ამიტომ რომ არ ფერი არ ვიცი. იმ სულელებმა კი მითხრეს: დღეს პირველ საათზე თქენო აღმატებულებავ! ტუტუცებს ეგონათ, რომ მე გამეხარდებოდა, ამის მავივრათ კი აი ის კუთხეში გაჩერებულა და არ მიღის. არ მიღის იმიტომ, რომ ეს ჩემი აზრია. სიკედილი როდია საშიში, არამედ მისი ცოდნა, შეუძლებელი იქნებოდა ცხოვრება, კაცს რომ გადაჭრილი სცოდნოდა ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათს მოვცდები უსათუოდო. ეს უტვრიდები კი მაფრთხილებრი: დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ!

### ა. ლომითათოშვ.

(შემდეგი იქნება.)

## რუსულ ახალ გზერლობის ისტორია

(გაგრძელება იხ. „სხივი.“ № 2)

აი ასეთი იყო ამ დროს ოფიციალური, გაბატონებული რუსეთი. ასეთი იყო რუსეთის ცხოვრების წეს-წყობილება, და ის თეორეტიული საფუძველი, რომელზედაც ის იყო დაყრდნობილი. მაგრამ ამ რუსეთის გვერდით, სცხოვრობდა მეორე — ახალგაზდა, დევნილი და უეხ ქვეშ გათვლილი, კრიტიკული, ოპოზიციონური რუსეთი, რომელიც მიუხედავათ ყოველ-გვარ დაბრკოლებისა, მედგრათ წინ მიიწევდა ამ ჯადოსნურ წრიდან, რომ დაემ-სხვრია ბორკილები და ბრწყინვალე მომავალის-თვის ნიადაგი მოემზადებია. ამ ახალგაზდა რუსეთს თითქოს სრულიად არ ქონდა ადგილი ოფიცია-ლურ სინამდვილეში, მაგრამ მის ასებობას ყველა აშკარათ გრძნობდა მას ვერ აბრკოლებდა ვე-რავითარი დენა და სწრაფათ წინ მიიწევდა, ახალ იდეებისკენ, რომლების გამარჯვება აუცილებელი იყო, ქვეყნის ბუნებრივ განვითარების გამო. მუდამ ასეთ სახეს ღებულობს მატერიალურ და გო-ნებრივ ძალთა შორის ბრძოლა. პირველის ფიზიკური გამარჯვება და მეორეს უეხქვეშ გათვლა მებრძოლ ძალთა განწყობილების ნამდვილი მაჩვენებელი ვერ არის. შინაგანი პროცესი ხშირათ გა-რევანის წინააღმდეგ ხდება. რამდენათაც გამარ-ჯვებულია მოუხეშავი ძალა, იმდენათ ფართე ნია-დაგს პოულობენ ახალი იდეები. რაც უნდა სა-შუალება იხმაროს, რაც უნდა სასტაკი თვალ-ყური აღვენოს, მიუხეშავ ძალას არ შეუძლია გაი-გოს იდეების მოძრაობა. და ვერც ნიკოლოზის ეპოქა ასცდა ამ კანონებს. საზოგადოებრივი აზრი იზრდებოდა და ვითარდებოდა, მას ვერ აფერხებდა

ნიკოლოზის პოლიციის სასტაკი ზომები. რომ კარგათ გავითვალისწინოთ, თუ რა პირობებში უნ-დებოდა მოქმედება ოპოზიციონურ რუსეთს, სა-კიროა გაშინდელ მეცნიერ ბის და ლიტერატურის მდგომარეობის დახასიათება. აი ეს იყო თრი გზა, რომელითაც ამ დროს წინ მიღოცდა რუსე-თის პროგრესის საქმე.

რუსეთის მეცნიერების და ლიტერატურის მთელი ბელ-ილბალი სახალხო განათლების მინის-ტრის ხელში იყო. მინისტრი რუსეთის ლიტერა-ტურის და ბეჭდვითი სიტყვის უკანტროლო მბრძა-ნებელი იყო. 1833 წლის 21 მარტს სახალხო გა-ნათლებ-ს მინისტრათ დაინიშნა სერგეი სიმონის ძე გრაფი უფაროვი, რამლის შეხედულობა ზემოთ გვქონდა მოყვანილი. მის წინა მოადგილე შიშკოვ-სა და ლივენთან შედარებით, ის განათლებულ კაცათ ითვლებოდა და მისი აზრები გაბედულით იმ დროში. ჯერ კიდევ მინისტრათ დაინიშნამდე, უფაროვი, როგორც სახალხო განათლებას მინისტ-რის ამხანავი, გავზავნილ იქნა მოსკოვის უნივერ-სიტეტის სარევიზოთ. თავის მოხსენებაში ნიკო-ლოზისადმი ის აღნიშნავდა, რომ განათლების სა-ქმებს საფუძვლათ უნდა ედოს „მართლმადირებლო-ბის, თვითმპყრობელობის და ხალკოსნობის ჭრა-რიტ—რუსეთის დაცვის იდეა, რომელზედაც დამ-ყარებულია ჩეენი ხსნა და რაც ჩეენი საუშობლო ძალის და დიდების თავდებია“.

როგორც უყურებდა უფაროვი ბატონ-ყმობას აშკარათ სჩანს მისი აზრებიდან, რომელიც პოგო-ლინმა დასწერა. ის მტკიცეთ დარწმუნებული იყო, რომ ბატონ-ყმობის შეხებას აუცილებლად „საზო-გადო არეულობა მოყვებოდა“. ყველა იმიდან რაც „პეტრე I-ის წინათ იყო“, მხოლოდ მარტო ბა-ტონ-ყმობა დარჩა და მისი საკითხი მჭიდროთ შე-კავშირებულია თვითმპყრობელობის საკითხთან. თი-თქმის ვერც ეს, გატონ-ყმობის მომხრე, ბიუროკრა-ტი დამაგრდა თავის ადგილზე ნიკოლოზის მეფო-ბის ბოლომდე. მეორმოცე წლების ბოლოს, როცა ლიტერატურის და მეცნიერების დარგში თავი იჩი-ნა ტერორმა, უფაროვი თავის დახასებული შეხე-დულობით, მეტის მეტი ლიბერალი გამოდგა. 1849 წელს სხვა სამწუხარო ხმებთან ერთად, ხმა გავრცელდა, რომ განზრახვა ქონდა დაეხურათ ყველა უნივერსიტეტები. ეს მეტის მეტი იყო, ვი-დრე უფაროვშინა და უფაროვმა გაბედული ნაბიჯი გადასდგა. „სოვერემენიუში“ დაიბეჭდა ხელ მოუწე-რილი წერილი „რუსეთის უნივერსიტეტის მნიშვნე-ლობაზე და საზოგადო განათლებაში მინაწილებაზე“. ამ წერილის რედაქტორი და ცენზორი თვით

უფაროვი იყო ამ წერილში კეთილი აზრები იყო გატარებული. უნივერსიტეტის ასებობის საჭარება იმით იხსნებოდა, რომ იქნან გამოვიდოდენ გარათლებული ახალგაზდები სათაყვანო მონარქის სასამასახუროთ". უნივერსიტეტების მნიშვნელობა ასე განისაზღვრებოდა: „მოეფინა თანამედროვე მეცნიერების სინათლე, შენახულ და დაცულ ყოფა-ლიკ სამშობლო ენა, ჩვენი მარალმადიდებლობის და თვითმპყრობელობის ორგანო, ხელი შეეწყო ხალხის სატყვიერებისათვის, გადაეცათ ახალგაზდებისთვის სიბრძნის განძი, ტახტისა და სარწმუნოების სიყვარულით გასხვისნებული". აი ასეთი წერილი საშიშოთ ჩასთვალეს, რამც ხელმწიფის მიერ უფაროვისადმი უკმაყოფილება გამოწვია. „1848 წლის 2 აპრილის კამიტეტში", რომელიც დაარსებული იყო, იმიტომ, რომ საწინააღმდეგო იდეების წინააღმდეგ საბრძოლველი არსებული ორგანოები საკმარისათ ვერ სცნეს, უნივერსიტეტების შესახებ წერილი საწინააღმდეგო დაინახეს. კომიტეტმა თავსედაბათ ჩასთვალა ის, რომ „კერძო პირი დებულობს თავის თავზე გაარჩიოს სახელმწიფო დაწესებულებების, როგორიც უნივერსიტეტებია, მნიშვნელობა და სარგებლობა". კომიტეტის აზრით „ავტორს თავისი წერილი უმაღლესათ განსახილველათ უნდა წარედგინა". უფაროვის მიერ წარდგენ ლ განპარტებაზე ნიკოლოზ პირველმა სხვათა შორის შემდეგი რეზოლუცია წააწერა: „სოვერემენიკში" მოთავსებული წერილი „უზრდელი" წერილია, რადგან ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებას ქვება, თუ ძაგება უპრალო ლაუზთაზე საბაზუზოთ არ შეეფერება არც ჩვენ მთავრობას და არც არსებულ, ბელნიერ წესწყობილებას. მონიშვნის უნდა იყოთ და თქვენი შეხედულობა უკენოვის შეინახოთ". 1849 წლის ბოლოს გრაფი უფაროვმა სამსახურს თავი დაანება და მის მაჟერ დაინიშნა შირინისკენ — შიბმატოვი.

აშკარაა რა მდგომარეობაში იქნებოდა ხალხის უფლების საქმე ასეთ ადმინისტრატორების ხელში. ქვემოთ ჩვენ და ინახავთ რას განიცილდა შელინკი, როცა მან იგრძნო უნივერსიტეტში არსებულ რეჟიმის ძალა. უკვე ალექსანდრეს მეფობის ბოლოს, როცა მთავრობამ ლიბერალური იდეები უარყო. და რეაქციონურ გზას დაადგა, უნივერსიტეტებს სასტიკი დევნა დაუწყეს, 1819 წელს ცნობალმა მაგნიციიმ „სასწავლებელთა უმთავრეს სამსახურელოს" წევრმა ყაზანის უნივერსიტეტის რევიზია მოახდინა. შემდეგ ამისა ის დანიშნულ იქნა ყაზანის ოლქის მზრუნველოთ, რომლის დროსაც მან სრულიად გაანადგურა უნივერსიტეტი, ესე

იგი, როგორც მაშინ აბაბდენ, მოახდინა ძირითადი რეფორმები. რა პირობებში ჩააყენა მან პროფესორები, ამას აშკარათ გვარტკიცებს ის ინსტრუქციება, როგორიცაც ის უგზავნიდა მათ სწავლების გეგმის შესახებ. პოლიტიკურ რეფლეს გონიერათ გაღმოცემა იმაში ჩდგომარეობს, რომ ჩაუნერგოთ მსმენელთ — მონარქიული წეს წყარბალება ძველის ძველია და თვით ღვთისგან არის დაწესებული. ფიზიკის პროფესორი ვალდებულია აუსქენას ძალის ძალით, რომ ღმერთი არის ყოვლად ბრძნი, ჩვენი გრძნობა გონება განსაზღვრული და არ შეუძლია გაიგოს რაც ჩვენ გარშემო ხდება. სამეცნიერო მეცნიერების პროფესორები უნდა ცოდნილ უკერძოება და ცოდნილ მსმენელი არ გაეტაცნათ მატერიალიზმს. და ბოლოს ისტორიის პროფესორის ეკალებოდა აეხსნა მსმენელთავის, რომ რუსეთმა ბევრ თანამედროვე სახელმწიფოს გაასწრო განათლების მხრით, ყველა ამის მიხედვით გასაკირი არ არის თუ მრავალ პროფესორებმა უარი სთქვეს ყველა იმის აღსრულებაზე და ამიტომ ადგილიდან დათხოვნილ იქნენ. იმპერატორ ნიკოლოზის დროს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უნივერსიტეტებს. ყოველივე ზოგის ხმარობენ სასურველ კალაპოტში ჩააყენონ უნივერსიტეტები. ამ მიზნით უპარველეს ყოვლისა მთავრობა ცოდლობს გადაქციოს ისინი სპეციალურათ თავადაზნაურთა ინსტიტუტთ. სახალხო განათლების მინისტრის საიდუმლო ცირკულიარში ოლქის მზრუნველებისადმი ნათქვამია რომ „სწავლისათვის მისწრაფება ყველგან თან-და თან ფეხს იკიდებს, რასც შეუძლია შეარყიოს მოქალაქობრივ წოლებათ წესები. მიღებულ იქნა ზომები, რომ ვაჭრების და მეშჩანების შვილები ნაკლები მიეღოთ უნივერსიტეტებში. სტუდენტების თვალ-ყურის გდება ჩვეულებრივ მოვლენათ გაღიაქცა. სტუდენტებს ისე კი არ უყურებდენ, როგორც მომწიფებულ ახალგაზღებს, არამედ როგორც ბავშვებს, რომლებისათვისაც საჭირო იყო პეტა. ყოველივე წრილმანს თვალ-ყურს იდევნებდენ: მიხვრა-მოხვრას, ლაპარაკს, თმის დავარცხნას და სხვა.

მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლებისა უნივერსიტეტები მაინც შეუდგენ თავიანთ უმაღლეს კულტურულ დანიშნულების ასრულებს. ნიკოლოზ I-ის მთავრობას ტყუილათ არ მიუქცივია ყურადღება სწავლა — მეცნიერების გავრცელების საქმისთვის, თუმცა ნიკოლოზის მთავრობის წყალობით სწავლა-განათლების საქმე მძიმე, რეინის ხუნდებში იყო გატელილი, მაგრამ პროგრესიულმა აზრმა მაინც გადმოხეთქა მაღალი კგდლები და

ხალხში შეკრა რაც კი რამ იყო ყოველივე კარგი და პროგრესული უნივერსტეტში მოიყარათ ავი. ვერც ნიკოლაზის უნდრებმა, ვერც მისმა ცენზორებმა ვერ ჩახრიანებს თავისუფალი აზრი. ამ მხრით უნივერსიტეტებმა ფარად დიდი როლი ითამაშეს. ყველაზე მეტაც თავი ისახელა მოსკოვის უნივერსიტეტმა, რომელსაც სხვებზე ნაკლებათ სდევნდენ, რადგან იქ მზრუნველია გრაფი სტროგონოვი იყო, კაცი ფრიად განათლებული და ლიბერალი, ნიკოლაზის უნდარმებს არ გამოეპარათ კუდრიავცევის, სოლოვიოვის, კოველინის, პიროვნების დასხვების სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა. პილიციელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს იმ მოვლენებზე, რომლებიც არ ებულ წესწყიბილებას ოპოზიციაში ჩაუდგენ. იქ; სადაც პროგრესული იდეები უფრო რთულ ფორმას ღებულობდენ, მას. თან საბრძოლველით საჭირო იყო გამჭრიახი გონება, რაიცა არ ქონდა ბიუროკრატიას, და ამიტომ მათი ბრძოლა უნაყოფოთ ჩებოდა. მხოლოდ ამით ითხსნება, რომ ისეთი პროფესორები, როგორიც იყო გრანვესკი და სხვები გადურჩენ ნიკოლოზის უნდარმების სასტიკ იერიშებს და შეასრულეს თავიანთი უმაღლესი ჭულტურული მასია. უნივერსიტეტებში ფეხი მოიკიდა ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც მათ ბოლოს შეინარჩუნეს და ჩვეულებრივ მოვლინებათ გადაიცენ. პროფესორების უმაღლესი ავტორიტეტი, სტუდენტთა თავდაღება განმათავისუფლებელ მოძრაობაში, უნივერსიტეტის მოძღვრების და პუბლიცისტების მტკაცე კავშირი — არ რა მოვლენებმა დაისადგურა უნივერსიტეტებში. ამ გვარათ უნივერსიტეტები წარმოადგენდენ ერთით ერთ აღგილს რესეთის საზოგადოებრივ ცხოვრებისას, სადაც თავის დღეში არ კვდებოდა მეცნიერული აზრი და სოციალური ინსტრუქტი.

— 0 —

რედაქტორ — გამოც. გ. ტურაბელიძე.

**ს ხ ი დ ი**

ურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზანი, ახალიანი, ბ. გელი, გ. გლეგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომელეთელი, მ. იასამინი, შ. ირეთელი. ა. ლალიძე, ლეო, რ. ლეჩებერძე, ვ. მალაქაშვილი, ი. ნიკოლაძე, ა. რაჭენიძე, ტ. რაზმეგილი, ვ. რუხაძე, ფ. რუბაკვაძე, გ. ტუქშიშვილი და სხვანი.

ურნალი ღირს:

ერთი წლით — — 5 მან.  
ნახევარი წლით — — 2 მ. 50 კ.

სტამბა „პეტრ. დელ“ (ყოფილი ცისკარი). ველიამინოვის ქუჩა № 6.

ერთი თვით — — 50 კ.

სათო ნომერი — — 10 კ.

წლიურ ხელის ზორები

პირველ პრემია მეცნიერებების სოლიკობა  
„სახლი ვოლგის ნაპირზე“.

მეორე პრემია — ირვთამლის ოთხ-მოქმედებიანი პიესა „სიცილი“. 3

პირველი წიგნი დაურიგდებათ თებერვლის დამლევს. მეორე აგისტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფასოთ გაეგზავნება. ვარც იანვრის დამლევდე მთელი წლის ფულს უმოიტანს არივე წიგნს მიიღებს.

ურნალის გამწერა შეკლება ტფილისში: გაზ. „მოზავლის“-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან, წიგნის მაღაზია „ალიონში“ ვ. გადილიასთან, კორანი ქუჩა № 9; სტამბა „პეტრონი დელ“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 პ. კილაძესთან.

**გ ა ლ ა ქ გ ა ლ რ ე ბ ი**

ქუთაისში: წიგნის მაღ. „იმერეთში“ და კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის შპ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში — რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში — მასწ. ვ. ხუროძესთან; ჩოხატაურში — წიგ. მაღ. ს. თავართქილაქსთან; ოზურგეთში — წიგ. მაღ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ აღრესით უნდა გამოიგზონ: **თიფლის, თიპოგრაფია მეცნიერებების დელ ველამინოვისა უ. № 6. პოლევკუ ანტონიუ კალანდაზე.**

## „მომავალი“

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირაუქმ მეორე დღეებისა. გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით — 2 მან. 50 კ. 1 თვით — 90 კ. თფილისში: 3 თვით — 2 მ. 20 კ.

1 თვით — 80 კ.

ფული შემდგენ აღრესით უნდა გამოიგზონ: **თიფლის თიპოგრაფია „შრომა“ კალანდაზე კონსტანტინოვიჩ ცულაზე.**

**ურნალდღიური საპოლიციკო და სალიფერაფურო გაზეთი**

**დროება**

გამოდის ყოველ დღე, — კვირაუქმ სურაუქისან დამატებით. გაზეთის ფასი დამატებითა: წლით 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 80 კ ერთი თვით 80 კ. ფულის გამოსაზაგნი აღრესი: **თიფლის, რედაქცია „დროება“ ი. ს. აგლაძე.**